პრეზიდენტის არჩევა საპარლამენტო რესპუბლიკაში - ქართული მოდელის ანალიზი

ქრისტინე გაბისონია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ მენაბდე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქრისტინე გაბისონია, ქ.გაბისონია 06.05.2023".

აბსტრაქტი

ნაშრომში გაანალიზებულია 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილების მიზანი და შედეგი, რისთვისაც პირველად წყაროებზე დაყრდნობით მიმოხილულია საკონსტიტუციო და საარჩევნო კოდექსის ცვლილებები. ამასთანავე, ნაშრომში გაანალიზებულია პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საკრებულოს ფორმირება, იქიდან გამომდინარე, რომ საარჩევნო კოლეგია კომპლექტდება მათით. ასევე, ნაშრომი ისტორიული ანალიზის საფუძველზე, ყურადღებას ამახვილებს საპრეზიდენტოდან-საპარლამენტო მოდელამდე გადასვლის გზაზე. გარდა ამისა, პირველადი წყაროების საშუალებით, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, მიმოხილულია ევროპული ქვეყნების საკონსტიტუციო მოწესრიგება, სადაც პრეზიდენტი არაპირდაპირი წესით შეირჩევა. კვლევისას, გამოიკვეთა, რომ საპარლამენტო რესპუბლიკის სიძლიერისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიულ სიძლიერესა და პლურალიზმს. ამასთანავე, ნაშრომში განხილულია თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ერთპალატიან საპარლამენტო რესპუბლიკაში, პრეზიდენტის არჩევის ახალმა წესმა პრეზიდენტის ლეგიტიმაციაზე, რისთვისაც მეორადი წყაროების საშუალებით გამოყენებულია სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო მოსაზრებები.

საკვანძო სიტყვები: პრეზიდენტი, საარჩევნო კოლეგია, არაპირდაპირი წესი, საპარლამენტო რესპუბლიკა, ერთპალატიანი, უნიტარული, ევროკავშირი

Abstract

The paper analyzes the purpose and result of the constitutional amendment of 2017, for which the constitutional and election code amendments are reviewed based on primary sources. In addition, the paper analyzes the formation of the parliament, the highest representative bodies of the autonomous republics of Abkhazia and Adjara, and the city council, based on the fact that the electoral college is composed of them. At the same time, the paper, based on historical analysis, focuses on the transition from presidential to parliamentary model. In addition, by means of primary sources, on the basis of comparative analysis, the constitutional arrangement of European countries, where the president is elected indirectly, is reviewed. During the research, it was revealed that party strength and pluralism are of great importance for the strength of the parliamentary republic. In addition, the paper discusses the impact that the new system of electing the president can have on the legitimacy of the president in a unicameral parliamentary republic, for which various local and international opinions are used through secondary sources.

Key words: president, electoral college, indirect rule, parliamentary republic, unicameral, unitary, European Union